არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებების სისხლის სამართლის პროცესში

მიმდინარე წლის 17 მაისს, 13:00 საათზე, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის N06 აუდიტორიაში,ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, **არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ გამართავს კვლევის პრეზენტაციას თემაზე - არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ, სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვან ბრალდებულთა უფლებების დაცვის ხარისხის შეფასება, ხარვეზების გამოვლენა, გაანალიზება და სახელმწიფო უწყებებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა.

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა მნიშნელოვანი ხარვეზები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის დაკავება/სისხლის სამართლებრივი დევნა, დაცვის უფლების განხორციელება, საპროცესო წარმომადგენლების ჩართულობა, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის წარმოება და ზოგადად არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობა სხვადასხვა მიმართულებით. გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, არის ხარისხის კონტროლის ძალიან სუსტი სისტემის არსებობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, რაც აღნიშნული სფეროს წარმატებული განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი უნდა იყოს. ასევე, ხარვეზები გამოიკვეთა სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ საკმაოდ ბუნდოვან ხედვებთან დაკავშირებით, რაც ასეთი ტიპის დოკუმენტების ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

კვლევის პრეზენტაციას წარმოადგენს, **ა/ო „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“** ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - ტატო ქელბაქიანი. პრეზენტაციის შემდეგომ გაიმართება დისკუსია, რომელსაც მოდერაციას გაუწევს პროექტის მკვლევარი ნატალია ცაგარელი.

საკონტაქტო პირი: ტატო ქელბაქიანი, მობ: 577284656, ელ.ფოსტა: anton.kelbakiani@gmail.com